ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო, დიდის ქუქუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1990 შაბათი 28 ივლისი №90 (10327) ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო

ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ, ГОРОДСКОГО И РАИОННОГО СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ

ხალხი ფიქრობს, მსჯელობს, აანალიზებს

## დანაშაული არავის არ უნდა შერჩეს

მიმდინარე მოვლენების ხანაში ვცხოვრობთ. გარდაქმნის პროცესები რიგ შემთხვევებში ისეთ რთულ წინააღმდეგობებს აწყდება, რომლის წარმოდგენა ალბათ არც შეგვეძლო. საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში დაგროვილი მწვავე პრობლემები მთელი სიგრძე—სიგანით წარმოჩნდა ახლახან დამთავრებულ სკკპ 28-ე ყრილობაზე. სხვა საკითხებთან ერთად აქ სრული სიცხადით გამოიკვეთა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობა.

საზოგადოებრივი წესრიგის დეფიციტი,—აი, რაც სატკივარია, რაც ჩვენს ქალაქს, მის აქტივს, ფართო საზოგადოებას მოსვენებას უკარგავს. იქმნება სოციალური, თუ მორალური დაძაბულობის ატმოსფერო, რაც შრომით კოლექტივებშიც აღწევს და ცუდად მოქმედებს მუშაობის რიტმზე, საერთო კლიმატზე.

განსაკუთრებით მძიმე და ავადმოსაგონარ მონაკვეთად ჩაიწერა ქალაქის სიცოცხლეში ამ ბოლო დროს მომხდარი რამდენიმე სისხლის სამართლის დანაშაული, რომელთა შორის თავისი საშიშროების მაღალი კოეფიციენტით, სისასტიკით გამოირჩევა რამდენიმე შემთხვევა. დღისით, მზისით სამუშაოზე ყოფნისას სიცოცხლეს გამოასალმეს ჩაის ხაწონის ფაბრიკის დირექტორი რ. ჟვარდავა. ორხანტის მეურნეობის მოლარეს რ. სანდუხაძეს თავის სამუშაო ოთახში თავს დაესხნენ შეიარაღებული ბანდიტები და კოლექტივის წევრებისათვის გასაცემი ხელფასი —41710 მანეთი მუქარის ქვეშ წაართვეს. ამ ბოლო ხანებში ადგილი ჰქონდა რამდენიმე მოქალაქის ბინის გაქურდვის ფაქტს. არის სამსახურებრივი სეიფების გატეხვის შემთხვევები. ეჭვმიტანილი პირები დაკავებული იქნენ.

აღნიშნულ ფაქტებზე მსჯელობა, წუხილი, შეშფოთების ტონით აღბეჭდილი დავა-კამათი დღემდე არ წყდება ქუჩებში, საერთო საცხოვრებელ სახლებში, მიკრორაიონებში, ქუჩის კომიტეტების სხდომებზე, შრომით კოლექტივებში. პრინციპული შეფასება მიეცა არამზადათა ნამოქმედარს ჩაის საწონ ფაბრიკაში, ლუდისა და ხილეული წყლების კომბინატში, სარემონტო-მექანიკურ კომბინატში, ნარაზენის, ახალსოფლის, კახათის კოლმეურნეობებში, რუსთაველის, სვანეთის ქუჩის კომიტეტებში და სხვაგან. ადამიანები თავიანთ დამოკიდებულებას გამოხატავენ სხვადასხვა სახისა და მასშტაბის დანაშაულებრივ ქმედებათა მიმართ. ხალხის წუხილს, გულისთქმას წითელ ზოლად გასდევს საერთო მოთხოვნა: დემოკრატიზაციისა და საჯაროობის მტკივნეულ პროცესებს არამც და არამც არ ვაიგივებდეთ ქაოსთან და ხელმიშვებულობასთან, კანონების უგულებელყოფასთან და განუკითხაობასთან. დიდი და პატარა წინ უნდა აღუდგეს იმ ელემენტების თვითნებობას, რომლებიც აბსოლუტურად არ უწევენ ანგარიშს მიმდინარე მომენტის დრამატიზმს, გარდამტეხი ჟამის სიძნელეებს და მხოლოდ საკუთარი ქვენა გრძნობების რეალიზაციას ესწრაფვიან. ასეთებს არაფრად უღირთ რესპუბლიკის პრესტიჟი, ეროვნული თვითგამორკვევისათვის შემართული ქართველობის წრფელი ზრახვები, პოლიტიკური, თუ სოციალური სირთულეები და ანგარიშმიუცემლად ძაბავენ ისედაც ზღვარამდე მისულ ოპერატიულ ვითარებას. საზოგადოება შეძრწუნებულია იმის გამო, რომ დემოკრატიზაციის დამაიმედებელ პროცესებზე უსინდისო სპეკულირებას ეწევიან არა მარტო კრიმინოგენური, ასოციალური, დამნაშავე ელემენტები, არამედ გარკვეული კონტინგენტი გარდაქმნის მოწინააღმდეგე პირებისა, ვისაც ქალაქში მდგომარეობის დესტაბილიზაცია აწყობთ.

ნებისმიერ საკრებულოში, ყველა დონეზე შეხვედრისას ზუგდიდელი მშრომელების ერთსულოვანი აზრი საერთო სატკივარს და სამოქმედო სტრატეგიის შემუშავების საჭიროებას დასტრიალებს. ადმინისტრაციული ორგანოები, მთელი საზოგადოება, ყველანი ერთად უნდა ავდგეთ ბოროტმოქმედთა პარპაშის ასალაგმავად. თუ ერთმანეთის თანადგომა არ იქნა, დამნაშავე ელემენტები ხვალ და ზეგ უფრო მეტად შეგვაწუხებენ, უფრო საშიში ძალად მოგვევლინებიან.

ვინც ამ დღეებში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების თაობაზე გამართული რესპუბლიკური თათბირის ტელერეპორტაჟს უყურა, არ შეიძლება ბოლომდე არ გაითავისოს აღნიშნული პრობლემის სიმწვავე, არ დაეუფლოს ამ ბრძოლაში ჩაბმის სურვილიც.

ნამდვილი სუვერენიტეტისათვის საბრძოლველად შემართულ საქართველოში ყველაფერი უნდა ვიღონოთ ზნეობრივი ატმოსფეროს გაჯანსაღებისათვის. უზნეობა, სულმდაბლობა, დანაშაულებრივი ქმედება არავის არ უნდა შერჩეს. რამეთუ მხოლოდ ამ გზით განვუმტკიცებთ ადამიანებს მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებასა და კულტურას, კანონისადმი პატივისცემას, სამართლიანობის გრძნობას.

ინფორმაცია

## ნაყოფიერად შრომობენ

ყრუთა საზოგადოების ზუგდიდის სასწავლო საწარმოო წამოწყების კოლექტივის წევრები (დირექტორი ო. შამუგია) წარმატებით ასრულებენ გეგმა დავალებას. ამაზე მეტყველებს ექვსი თვის მონაცემები: საერთო პროდუქციის გეგმა ითვალისწინებდა მილიონ 447 ათასი მანეთის ნაწარმის გამოშვებას. ფაქტიურად გამოშვებულ იქნა მილიონ 459 ათასი მანეთის პროდუქცია.

საწარმომ ივლისის თვეში უნდა გამოუშვას 243 ათასი მანეთის პროდუქცია. ოცდახუთი ივლისის მონაცემებით გამოშვებულია 187 ათასი მანეთის ნაწარმი.

კოლექტივის წარმატებაში დიდია საწარმოს მოწინავე მუშების ლეილა ქაძარიას, გული ბუკიას, კლარა ბიგვავას, ნაზი სიორდიას, მერი ლურწკაიას და სხვათა წვლილი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 28-ე ყრილობის დადგენილება

## სკკპ 28-ე ყრილობაზე მიღებული მშრომელთა წერილების შესახებ

1. ცნობად იქნეს მიღებული ყრილობის სამდივნოს ინფორმაცია სკკპ 28-ე ყრილობაზე მიღებული კომუნისტებისა და უპარტიოების წერილების შესახებ და მათი განხილვისათვის მუშაობის ორგანიზაციის შესახებ.

2. დაევალოთ პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სკკპ ცენტრალურ საკონტროლო კომისიას დაამთავრონ სკკპ 28-ე ყრილობაზე მიღებულ წერილებზე მუშაობა, განახორციელონ ღონისძიებანი, რათა ყურადღებით და ღრმად განიხილონ მათში მოცემული საკითხები, წინადადებები, შენიშვნები და სათხოვრები იმ ნაკლოვანებებისა და მიზეზების თავიდან აცილების შესახებ, რომლებიც იწვევს მოქალაქეთა საფუძვლიან საყვედურსა და საჩივრებს.

სკკპ 28-ე ყრილობაზე მიღებული მშრომელთა წერილების განხილვისათვის გაწეული მუშაობის შედეგები ეცნობოს ცენტრალურ პარტიულ პრესას.

ეს დღეები სოფლად

## მიზანი: რეალური შედეგები

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ცხარე დღეებია რუხში. ძირითადში ახლა წყდება გეგმა-დავალების ბედი.

დღეს დღეობით გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სხვაობა 422 ტონაა, მაგრამ არის რეზერვები. დღეიდან მეორე კვარტალის ჩაის საკრეფად გავიდა 20 მობილური მანქანა (მთავარი ინჟინერი ფრიდონ ბახტაძე), რაც ერთი-ორად აამაღლებს კრეფის ტემპს.

წელს რუხში უნდა დამზადდეს 3900 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, დღეისათვის დამზადებულია 1700 ტონაზე მეტი ნედლეული. მექანიზატორებმა 102 ჰექტარი პლანტაციიდან უნდა აწარმოონ 1200 ტონა. პირველი ვეგეტაციის მოსავალი აღემატება 500 ტონას.

მეგრენდე - მექანიზატორებმა ჯური ფურცვანიამ, ელიოშა ბულიამ, თამაზ თოდუამ პირველებმა უპატაკეს კოლმეურნეობას მაის-ივნისის დავალების შესრულება.

დაწინაურდნენ მკრეფავები დარეჯან მატკავა და ზინო ფარცვანია, რომლებსაც რაოდენობასთან ერთად გადაწყვეტილი აქვთ ხარისხის პრობლემაც.

ხელით მკრეფავთა 15 ბრიგადა ამზადებს ნედლეულს, რა თქმა უნდა ყველა არც თანაბარ პირობებშია და არც თანაბარი ვეგეტაციის პლანტაციები გააჩნიათ. არის კრეფის საქმეში გარკვეული შეფერხებები, რასაც ობიექტური და სუბიექტური მიზეზები გააჩნია.

მეჩაიეობის დარგში წარმოჩენილ პრობლემებს მივყევართ იმ დასკვნამდე, რომ რუხში არ უნდა გაშენდეს არც ერთი ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაცია, ამ მოსაზრების ლოგიკური მოტივია, ის ფაქტი, რომ ისედაც მცირე სახნავიანი, სოფელი განიცდის მიწის დეფიციტს.

დღეს რუხელი მეჩაიეების წინაშე დგას ერთი ყველაზე მთავარი საკითხი. არსებული პლანტაციების მოვლა დამუშავების პროცესების მაქსიმალური გაუმჯობესებით მოიღონ ჩაის ნედლეულის წარმოების გადიდება.

ბ. ანდღულაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნახევარი წელი დამთავრდა: ვნახ, როგორ შესრულდა გეგმა-დავალება

## ზუგდიდის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება 1990 წლის პირველ ნახევარში

ზუგდიდის რაიონის სახალხო მეურნეობის განვითარებას 1990 წლის პირველ ნახევარში ახასიათებს შემდეგი მონაცემები

### მრეწველობა

სამრეწველო საწარმოების მიერ, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებები შესრულებულია 98,0 პროცენტით. პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებების გეგმის შესრულება ვერ უზრუნველყვეს ჭკადუაშის მიკრო ჩაის ფაბრიკაში (85,0 პროცენტი), კახათის მიკრო ჩაის ფაბრიკაში (93,0 პროცენტი) და ჩაის საწონ ფაბრიკაში (91,0 პროცენტი) აღნიშნულმა ორგანიზაციებმა, საანგარიშო პერიოდისათვის მომხმარებელ ორგანიზაციებს ვერ მიაწოდეს 1808 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია.

სამრეწველო საწარმოების მიერ 1990 წლის 1 ივლისისათვის გამოშვებულია 48823 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, 22620 ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი, რომელთაგან სასურსათო საქონელი შეადგენს 97,2 პროცენტს ანუ 21995 ათას მანეთს, ხოლო არასასურსათო საქონელი 625 ათას მანეთს.

ნატურალურ გამოსახულებაში პროდუქციის გამოშვების გეგმები შესრულებულია შავი ბაიხის ჩაის 101,0 პროცენტით, ლუდის დამუშავების 117,4 პროცენტით. ნატურალურ გამოსახულებაში პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულება ვერ უზრუნველყვეს: №2 ჩაის ფაბრიკაში შავი ბაიხის ჩაის 95,0 პროცენტი, კახათის მიკრო ჩაის ფაბრიკაში (55,0 პროცენტი) და ჩაის საწონ ფაბრიკაში 85,0 პროცენტი.

აღსანიშნავია, რომ სამრეწველო საწარმოების მუშაობამ, მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა ჯერ კიდევ ვერ მიაღწია საჭირო დაჩქარებას, არ არის შენარჩუნებული უმრავლეს საწარმოებში შარშანდელი შესაბამისი პერიოდისათვის მიღწეული დონე, კერძოდ. სასაქონლო პროდუქციის წარმოება შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირებულია 82,8 პროცენტით, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება 54,0 პროცენტით და შრომის ნაყოფიერება 88 პროცენტით.

ცალკეული საწარმოების მიხედვით, სახელშეკრულებო ვალდებულებების გათვალისწინებით პროდუქციის მიწოდების გეგმის შესრულება, სასაქონლო პროდუქციისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები შემდეგი მონაცემებით ხასიათდება:

| ორგანიზაციის დასახელება | იანვარ-ივნისი მიწოდების სახელ. ვალდებულებების: გეგმის შესრ. პროცენტი | იანვარ-ივნისი მიწოდების სახელ. ვალდებულებების: მიწოდებული | 1990 წლის იანვარ-ივნისში პროცენტობით 1989 წლის იანვარ-ივნისთან შედარებით: სასაქონლო პროდუქციის | 1990 წლის იანვარ-ივნისში პროცენტობით 1989 წლის იანვარ-ივნისთან შედარებით: შრომის ნაყოფ. |
|---|---|---|---|---|
| ცაიშის ჩაის ფაბრიკა | 100,0 | 1635 | 112,0 | 117,0 |
| დარჩელის ჩაის ფაბ. | 100,0 | 1323 | 86,1 | 88,5 |
| ორჯონიკ. ჩაის ფაბრ | 100,0 | 1615 | 102,0 | 103,3 |
| კახათის ჩაის ფაბრიკა | 100,0 | 1899 | 89,5 | 100,4 |
| ზუგდიდის №1 ჩაის ფაბ. | 100,0 | 2490 | 103,5 | 99,2 |
| ზუგდიდის №2 ჩაის ფაბრ. | 100,0 | 1794 | 92,2 | 94,0 |
| ახალსოფ. ჩაის ფაბრ. | 100,0 | 221 | 108,5 | 108,0 |
| ნარაზენის ჩაის ფაბრიკა | 100,0 | 2346 | 102,0 | 102,0 |
| ინგირის ჩაის ფაბრიკა | 100,0 | 1694 | 100,0 | 104,0 |
| ზედაეწერის ჩაის ფაბრ. | 100,0 | 1917 | 105,4 | 111,0 |
| ინგირის მიკრო ჩაის ფაბრ. | 100,0 | 671 | 100,0 | 97,3 |
| რუხის მიკრო ჩაის ფაბრ. | 100,0 | 197 | 66,5 | 71,2 |
| ჭკადუაშის მიკრო ჩაის ფაბ. | 85,0 | 550 | 114,2 | 146,0 |
| ონარიის მიკრო ჩაის ფაბ. | 100,0 | 596 | 104,4 | 104,4 |
| ტყაიის მიკრო ჩაის ფაბ. | 100,0 | 422 | 94,0 | 85,0 |
| ინგირის ჩაის კომბინატი | 100,0 | 3295 | 118,3 | 74,3 |
| კახათის მიკრო ჩაის ფაბ. | 93,0 | 394 | 83,0 | 71,0 |
| ჩაის საწონი ფაბრიკა | 91,0 | 14559 | 43,0 | 43,2 |
| ლუდის საწარმო | 100,0 | 545 | 89,0 | 89,0 |
| სულ რაიონში | 98,0 | 38157 | 67,2 | 67,2 |

### კაპიტალური მშენებლობა

ზუგდიდის რაიონის სამშენებლო ორგანიზაციების მიერ, შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა საერთო მოცულობამ 1990 წლის იანვარ-ივნისის თვეში შეადგინა 6018 ათასი მანეთი, ნაცვლად დაგეგმილი 5909 ათასი მანეთისა, რაც საანგარიშო პერიოდის გეგმის 102,0 პროცენტია.

მათ შორის საკუთარი ძალებით შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა შეადგენს 5795 ათას მანეთს დაგეგმილი 5 მილიონ 721 ათასი მანეთის ნაცვლად და ამით საჭირო სამუშაოთა საანგარიშო პერიოდის გეგმა შესრულებულ იქნა 101,8 პროცენტით, ხოლო ზრდის ტემპმა 105,0 პროცენტი შეადგინა.

საკუთარი ძალებით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის მიმდინარე წლის იანვარ-ივნისის თვის გეგმის შესრულება ცალკეული ორგანიზაციების მიხედვით შემდეგი მონაცემებით ხასიათდება.

| ორგანიზაციის დასახელება | სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის შესრ. პროც.: საერთო მოცულობის | სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის შესრ. პროც.: მ-შორის საკ. ძალებით |
|---|---|---|
| მშკ—7 | 100,0 | 100,0 |
| მშკ—16 | 11,0 | 103,5 |
| მშკ—50 | 100,3 | 96,0 |
| მშკ—8 | 100,4 | 100,2 |
| საკოლმშენის საამქრო | 101,0 | 103,4 |
| სას. საბინ. მეურნ. გაერთ. | 105,3 | 105,2 |
| ტრ. №2 სარ. სამშ. სამმ. | 108,3 | 108,0 |
| მშკ —9 | 100,3 | 100,3 |
| სულ რაიონში | 102,0 | 101,3 |

სახელმწიფო სტატისტიკის ზუგდიდის რაიონული განყოფილების ცნობა

### ტრანსპორტი, ვაჭრობა, საყოფაცხოვრებო და ფასიანი მომსახურება

1990 წლის პირველ ნახევარში საერთო სარგებლობის ტრანსპორტით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული გადასაზიდი 273,1 ათასი ტონა ტვირთისა, გადაზიდულ იქნა 275,9 ათასი ტონა ტვირთი და ამ მაჩვენებლის მიხედვით გეგმის შესრულებამ 101,0 პროცენტი შეადგინა.

სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის, საზკვების ჩათვლით 1990 წლის იანვარ-ივნისის თვის სახელმწიფო გეგმა რაიონის სავაჭრო ორგანიზაციების მიერ შესრულებულია 119,0 პროცენტით. საანგარიშო პერიოდში, მოსახლეობას მიეყიდა 28749,0 ათასი მანეთის სხვადასხვა ასორტიმენტის სასურსათო და არასასურსათო საქონელი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 24144,2 ათასი მანეთისა. აქედან საცალო საქონელბრუნვამ შეადგინა 26878,5 ათასი მანეთი დაგეგმილი 21728,2 ათასი მანეთის ნაცვლად.

გადაჭარბებით 100,1 პროცენტითაა შესრულებული მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების მოცულობის გეგმა.

1990 წლის იანვარ-ივნისში მოსახლეობას გაეწია 2159,4 ათასი მანეთის ფასიანი მომსახურება, დაგეგმილი 2158 ათასი მანეთის ნაცვლად. ფასიანი მომსახურების საერთო მოცულობიდან, მოსახლეობას გაეწია 563 ათასი მანეთის საყოფაცხოვრებო მომსახურება და ამით საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობის გეგმა შესრულებულ იქნა 102,8 პროცენტით.

მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად რაიონში მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების საანგარიშო პერიოდის გეგმა გადაჭარბებითაა შესრულებული, ცალკეულ საწარმოთა ხელმძღვანელები ზერელედ ეკიდებიან ამ მაჩვენებლის მიხედვით გეგმის შესრულებას. კერძოდ მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში დღემდე არ დაუწყიათ ანაკლიის ბალნეოლოგიურ სამკურნალოს, მშკ—7, მშკ—50, საკოლმშენის საბჭოს, სოფლის მეურნეობის სარემონტო სამშენებლო სამმართველოს, ჩაის ფაბრიკებს, მომხმარებელთა საზოგადოების პროფკავშირს ფასიან მომსახურებაზე დაყვანილი გეგმის შესრულებაზე ზრუნვა.

**სახ. სტატისტიკის ზუგდიდის რაიონული განყოფილება.**

### პრობლემა

## ვუშველოთ სოფლის მომავალს!

დღეს მეტად აღმავალი ტემპით მიმდინარეობს მასების პოლიტიზაციის პროცესები. დღითიდღე მაღლდება და იხვეწება ჩვენი ხალხის ეროვნული თვითშეგნება. გარდაქმნის მეტად საინტერესო პროცესების წინაშე დგას ჩვენი საზოგადოება. ყოველივე ამან საკმაოდ ბევრი პრობლემა წამოწია წინა პლანზე.

ამ ჭიდილისა და ბრძოლის დროს თითქოს მიგვავიწყდა კონკრეტული პრობლემების წრე, რომელთა გადაწყვეტაც გააზრებასა და დროულ გადაჭრას მოითხოვს. მისი გადაწყვეტა დღეს ყველაზე უფრო დამოუკიდებელი საქართველოს მომავალს აუცილებლად ესაჭიროება. ეს არის პრობლემა სოფლიდან ქალაქში ახალგაზრდების მიგრაციისა, რომელიც დღითიდღე იზრდება, და ამასთან გარკვეულწილად სერიოზულ გავლენას ახდენს ისედაც მწვავედ გამოკვეთილ დემოგრაფიული მდგომარეობის გაუარესებაზე.

მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ აღნიშნული პრობლემა მხოლოდ ახლა დავინახეთ. იგი ყოველთვის არსებობდა და თითქოსდა ამ პროცესების შესაბამისად გარკვეული ღონისძიებებიც იქნა გატარებული, მაგრამ როგორც ჩანს არასაკმარისად. სამწუხაროდ, მხოლოდ სოციალური პირობების გაუმჯობესებამ ვერ შეაჩერა ახალგაზრდების ლტოლვა ქალაქისაკენ. დღეს სოფელში მცხოვრებთათვის არაა უცხო ასეთი სურათი: ყოველ დილით ხალხით გაჭედილი ავტობუსები და მსუბუქი ავტომანქანები მიემართებიან ქალაქისაკენ, ეს ის ხალხია, რომლებიც ქალაქში თუ სხვა მეზობელ სოფელში განლაგებულ საწარმოებშია დასაქმებული. რისთვისაა საჭირო ყოველივე ეს, როცა მათი ადგილზე დასაქმება უფრო იოლად შეიძლება. საჭიროა დავფიქრდეთ. ნუთუ ქართველებს არ გვეყო თავკომბალად ქცეული ჩვენი დედაქალაქი. ნუთუ არ გვეყოფა საქართველოში 70 წლის განმავლობაში დაცარიელებული 260 სოფელი. ნუთუ გვინდა რომ ზუგდიდის რაიონის სოფლებსაც იგივე ბედი ეწიოს?

ხშირად გაიგონებთ დღეს, რომ ახალგაზრდებს სოფლად მუშაობა და სოფელში გაჩერება არ უნდა. რა თქმა უნდა არ გაჩერდება თუ ადგილზევე არ მიეცა კვალიფიცირებული შრომისა და სტაბილური გამომუშავების გარანტია. თუ არ ექნება კარგი სოციალური პირობები.

მავანს და მავანს შეიძლება ასეთი შეკითხვაც დაებადოს: ნუთუ პრობლემების გადაწყვეტისათვის არაა მოწოდებული ყველა სოფელი? აქვე შეიძლება სოფლის ხელმძღვანელებისაგან ასეთი პასუხიც მივიღოთ. ერთბაშად არცერთი სოფელი არ გაშენებულა. ეს ასეც არის. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ახალგაზრდების გარკვეულ ნაწილს სოფელში დაბრუნება უცდია და შესაფერისი სამუშაო ვერ უშოვია. ჩვენთვის დღეს ყველაზე მთავარი კვალიფიციურად ვმართოთ ეს პროცესები, შევაჩეროთ მიგრაცია სოფლიდან ქალაქში.

გამოსავალი კი ასე გვესახება: თავი შევიკავოთ ქალაქსა და ქალაქის შემოგარენ სოფლებში ახალი საწარმოების, საწარმოთა ფილიალებისა და საამქროების მშენებლობაზე. ამასთან უნდა უზრუნველვყოთ საწარმოთა ავტომატიზაცია და მექანიზაცია. რათა იქიდან გამოვათავისუფლოთ საწარმოო ძალები.

დაიგეგმოს და რაც შეიძლება ოპერატულად გადაწყდეს რაიონის ცენტრს დაშორებულ სოფლებში ახალი საწარმოების, მათი ფილიალებისა და საამქროების მშენებლობის საკითხი, იმ გარანტიით, რომ ისინი უცილობელ წვლილს შეიტანენ სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარებაში, წილობრივად იზრუნებენ სოფლის მშრომელთა სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის.

მისასალმებელია, რომ საკითხის აგრერიგად გადაწყვეტისათვის დღეს უკვე მონდომებულია ბევრი სამეურნეო ხელმძღვანელი, მაგრამ სამწუხაროდ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ პროცესების გაღრმავება-განვითარებას მეტად აქტიურად წინ ეღობება კონსერვატიული, ბიუროკრატიული ძალები.

თუ ჩვენ ყველანი, ვისაც სოფლისათვის გული შეგვტკივა, გავიცნობიერებთ ამ მეტად მნიშვნელოვან სამომავლო საქმის გადაწყვეტის აუცილებლობას, თუ ჩვენ შევძლებთ, რომ სოფლის მცხოვრები ახალგაზრდები დავასაქმოთ მისსავე სოფელში მისი კვალიფიკაციის შესაბამისად, ხვალ უკეთესი იქნება ჩვენი სოფელი. საგრძნობლად გაუმჯობესდება დემოგრაფიული სიტუაციაც.

**მ. ჯანთარია,**
საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩაი — 90

# გზა გავუხსნათ რეზერვებს

დღევანდელ პირობებში საზოგადოებრივ მეურნეობებს გააჩნიათ მრავალი სხვადასხვა დარგი. წამყვან დარგს ამოფარებულნი ვერ არეგულირებენ ეკონომიკას, არადა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველი ნიშანია გაირკვეს, დარეგულირდეს რა სახის პროდუქცია უნდა აწარმოონ, რათა მიიღონ მაქსიმალური უკუგება.

ოქტომბრის კოლმეურნეობა როგორც რაიონის სხვა საზოგადოებრივი მეურნეობები, მრავალდარგოვანია, მათ შორის მომგებიანი მხოლოდ ჩაის კულტურაა. მას აქ 215 ჰექტარი უჭირავს, აქედან მოსავლიანია 185, საიდანაც ზემოდან დაშვებული გეგმით 1460 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი უნდა მოიკრიფოს. დადგა დრო სოფელს თანამედროვე პირობებში მიეცეს საშუალება მართოს თავისი საქმე დამოუკიდებლად, თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი, მაშინ იგრძნობს იგი ახალი ცხოვრების სიკეთეს.

არენდული წესით შრომამ, ეკონომიკურმა რეფორმებმა გზა უნდა გაუხსნას რეზერვებს, იგი საზოგადოების მომავალი პროგრესის ერთ-ერთი გზაა. ადვილი როდია შელახული ავტორიტეტის აღდგენა, რწმენადაკარგული გლეხის შემობრუნება. შრომის არენდულ ფორმაზე კოლმეურნეობაში მხოლოდ 5 კომპლექსურ - მექანიზირებული რგოლია გადასული. ისინი მეორე წელია ამ მეთოდით იღებენ მოსავალს, ანაზღაურებას. წელს 800 ტონა უნდა დაამზადონ ქიული ცაავამ, რეზო გვასალიამ, არდა ფარცვანიამ, ვაჟა ძაძამიამ, ბეჟანა პერტახიამ. მათ განკარგულებაში გადაცემული 50 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მეარენდეებს დამზადებული აქვთ 140 ტონა ნედლეული და ამ დღეებში მეორე გადაკრეფაც დაიწყეს.

კოლმეურნეობას 30 ჰექტარი ამორტიზირებული ჩაი ერიცხება, როგორც სრულმოსავლიანი. აქედან 8 ჰექტარი ამოძირკულია და დანარჩენი ფართობები იძლევა უმნიშვნელო მოსავალს კომპლექსურ - მექანიზირებულ რგოლებსაც ერიცხებათ ამ კატეგორიის ჩაი 7 ჰექტარამდე. 35 ჰექტარი პლანტაცია საჭიროებს გაახალგაზრდავებას, ამ მხრივ დღეისათვის ჩატარებულ ღონისძიებებს არ მიუღია არავითარი უკუგება.

ჩაის ნედლეულის დამზადების საქმეში სადაო გახდა მოკრეფილი ნედლეულის ფასთა სხვაობა, რაც იწვევს მშრომელთა სამართლიან უკმაყოფილებას. საკითხავია, ხელგაშლილად გაცემული საზღაური ხომ არ გამოიწვევს მეურნეობათა ფინანსურად შესუსტებას?

სოფელში ორი კვირით გვიან დაიწყო სეზონი. შარშანდელ დონეს 95 ტონით ჩამორჩნენ მკრეფავები. არის ამაში ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. თანაბარ პირობებში მეექვსე და მეხუთე ბრიგადებმა წარმატება მოიპოვეს, მეორე და მეოთხე ჩამორჩნენ. მიზეზს რა გამოლევს. მთავარი მაინც შრომის არასწორი ორგანიზაციაა, ამიტომაც შეცვალეს მეორე ბრიგადის ხელმძღვანელი. გარკვეული ძვრებიც არის, ბრიგადირის უნარზე ბევრია დამოკიდებული. ამაღლდა შრომის საზღაურიც და დღეს მკრეფავები კილოგრამ პირველი ხარისხის ნედლეულში იღებენ 50 კაპიკს, მეორეში 40-ს.

მართალია, პირველ ხანებში გაუჭირდათ მწვანე პლანტაციის ოსტატებს, მაგრამ სადღეისოდ ეს პრობლემა სწორდება. დარჩელისა და ინგირის ჩაის ფაბრიკებს ყოველდღიურად ბარდება 16-17 ტონა ნედლეული, ეს კი იმის გარანტიაა, რომ მიღწეულ იქნას სასურველი შედეგები.

ზ. აბულაძე.

დარჩელის მეურნეობის № 7 ბრიგადის წევრი აზა ჭითანავა ჩაის უხვი მოსავლის ოსტატია.

მან შარშან ათი ტონა ნედლეული დაამზადა.

აზა წელსაც შალალნაყოფიერი შრომით გამოირჩევა.

სურათზე: აზა ჭითანავა.



აკ. ყუფუნიას ფოტო

დღეს და მომავალში

# პრობლემათა დაძლევით

ხეცერის ჩაის მეურნეობა, ერთერთი უძველესი საზოგადოებრივი მეურნეობაა რაიონში. მას წლების მანძილზე სათავეში ედგა სოფლის მეურნეობის უბადლო სპეციალისტი ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ანთიმოზ როგავა.

წლითი-წლობით იზრდებოდა მოსახლეობა, იცვლებოდა სოციალური სფერო. ჩაის კულტურიდან მიღებულმა შემოსავალმა განაპირობა გზათა მოწყობა, კაპიტალურ ნაგებობათა აღმართვა. ეს ერთ დღეს კი არ გაკეთებულა, არამედ თანდათან, პერიოდულად.

დღეს კი, როდესაც ყველაზე უფრო მაღლა დგას მშრომელთა მატერიალურ-სოციალური პირობების საკითხი, ხეცერელებმაც ჩაიხედეს გულში. დირექციის გადაწყვეტილებით (დირექტორი ვ. კვარაცხელია) აღებულ იქნა ოთხი ამორტიზირებული საცხოვრებელი სახლი და საძირკველი ჩაეყარა (ცენტრშივე) ორმოცდაორ ბინიან სამ სართულიან ნაგებობას, რომლის პირველ სართულზე განლაგდება საყოფაცხოვრებო და სავაჭრო მომსახურების ობიექტები. მიმდინარე წელს აღნიშნულ მშენებლობაზე გაიხარჯება 890 ათას მანეთზე მეტი. № 8 სამშენებლო სამმართველოს მეთორმეტე ტრესტმა ითავა მისი აშენება.

მიმდინარეობს გზების კეთილმოწყობის სამუშაოები. მეურნეობის ცენტრალურ გზაზე დაიგო შავი საფარი, რაზედაც გაიხარჯა 68 ათასი მანეთი, ამასთან წილობრივი მონაწილეობა მიიღეს ზუგდიდ-ხეცერის გზის მოასფალტებაში.

ყურადღება ეთმობა დემოგრაფიულ პრობლემათა საკითხს. პერიოდულად ეწევა დახმარება მრავალშვილიან და მარტოხელა ოჯახებს. მეურნეობის მუშათა შვილებისათვის უფასოა, საბავშვო ბაღებში ქვება. მეურნეობის მუშას, მრავალშვილიან ხუტა ნაჭყებიას ოჯახს ინდივიდუალური მშენებლობისათვის მიეცა გრძელვადიანი სესხი 10 ათასი მანეთი, ასევე, მრავალშვილიანი კორნელი ჭაფანძე ჩასახლებულ იქნა 25 ათას მანეთად შეფასებულ სახლში, რომლის დაფარვის ვადაა ოცდახუთი წელი და ა. შ. მეურნეობა წილობრივ მონაწილეობას იღებს მაცხოვრის კარის ეკლესიის რესტავრაციაში, სხვადასხვა საზოგადოების ფონდებში.

მეურნეობაში იხსნება სამედიცინო დაწესებულება „იბერპოლი", სადაც მშრომელებს მოემსახურებიან ქართველი და პოლონელი მაღალი კვალიფიკაციის ექიმები.

ბოლო ხანში კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა სათოსტო განყოფილებას, კვების ობიექტებს და სხვა.

დღეს და სამომავლოდ, მრავალი პრობლემაა მეურნეობაში, მისი სრულყოფა საგრძნობლად გააუმჯობესებს მშრომელთა მომსახურების დონეს.

ზ. ასათიანი.

წარსულის ფურცლებიდან

# მიურატები სამეგრელოში

როცა მკითხველს ვთავაზობთ ცნობებს მიურატების შესახებ, მხედველობაში გვაქვს სალომე დავით დადიანის ასული, მისი მეუღლე აშილი და მათი შვილები.

როგორც ცნობილია, სამეგრელოს სამთავრო 1857 წელს ფაქტიურად გაუქმდა და მისი მმართველი ეკატერინე ჭავჭავაძე პეტერბურგს გაიწვიეს. ამის შემდეგ მან 25 წელიწადი იცოცხლა და კარგა ხანს იცხოვრა რუსეთსა და საფრანგეთში. ბოლოს ისევ სამეგრელოში დაბრუნდა და 1882 წელს 66 წლისა გარდაიცვალა. დაკრძალულია მარტვილში, მეუღლის დავით დადიანის (1812—1853 წ. წ.) გვერდით.

პარიზში ეკატერინეს ოჯახს დაუახლოვდა ნეაპოლიტანიის მეფის იოახიმ მიურატის შვილიშვილი აშილი, რომელმაც 1868 წელს ცოლად შეირთო დადიანის ასული სალომე. იოახიმ მიურატს ცოლად ჰყავდა ნაპოლეონის და—კაროლინა. ამრიგად, აშილ მიურატი ნაპოლეონის დის შვილიშვილი იყო;

აშილსა და სალომეს ჰყავდათ სამი შვილი: ნაპოლეონი, ლუსიენი და ანტუანეტა. შვილები, რა თქმა უნდა, მამის გვარს ატარებდნენ, თვითონ სალომეც „პ რ ი ნ ც ე ს ა სალომე მიურატად" იწოდებოდა.

1872 წელს მიურატები სამეგრელოში ჩამოვიდნენ. აშილმა იცოცხლა 50 წელი (1845-1895 წწ.) სალომემ—65 წელი (1848 1913 წწ).

ეკატერინეს გარდაცვალების შემდეგ, როგორც იონა მეუნარგია წერს, სალომეს მემკვიდრეობით ერგო სალიპარტიანოს მამულები, რომლის ცენტრი იმჟამად სოფელი სალხინო იყო. სალხინოში იდგა ორსართულიანი ქვის მშვენიერი სასახლე, რომლის მშენებლობა ჯერ კიდევ ლევან დადიანს დაუწყია და შემდეგ სალომეს დაუსრულებია.

სალიპარტიანო ოდიშის მთავართა საუფლისწულო იყო. იგი ძველად უფრო ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა (ძირითადად ხელოვნიშე დღევანდელი მარტვილის რაიონს). მასში შემოდიოდა სალხინო, თამაკონი, კიწია, ტარჩელი, ნამიკოლაო, წაჩხური, ლეძაძამე, ქინოთი, ნაგვაზაო, გურძემი და ა. შ. მე-19 საუკუნის დამლევიდან სალიპარტიანოს ტერიტორია დაიწვრილდა, თანდათან დავიწროვდა და როგორც მთლიანი ადმინისტრაციული ერთეული გაუქმდა.

სალიპარტიანოს დაწვრილებით ისტორიას დაინტერესებული მკითხველი მკვლევარების თ. ბერაძის, ო. სოსელიას, შ. ჯღარკავას და სხვათა ნაშრომებში გაეცნობა. ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს მიურატების საქმიანობა სალხინოსა და მის მიმდებარე სოფლებში.

მიურატებმა სამეგრელოში ხელი მიჰყვეს მევენახეობასა და ღ ვ ი ნ ი ს წარმოებას და სახელიც მოიხვეჭეს. მათ მიერ სალხინოსა და ჭკადუაშში დამზადებული საუკეთესო ღვინოები არა მარტო საქართველოში იყო ცნობილი, არამედ მის გარეთაც. იგი სპეციალური იარლიყით ექსპორტშიც გადიოდა. ძირითადად ოჯალეშის ღვინოებს ამზადებდნენ.

მიურატები მემამულეები იყვნენ, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ მათი საქმიანობა მევენახეობა—მეღვინეობაში ხელს უწყობდა ამ დარგის განვითარებას დასავლეთ საქართველოში.

სალხინოს ზონისა და ჭკადუაშის მამულების გარდა მათ მიწები ჰქონდათ რიყეშიც. აქ მიურატებმა გააშენეს ჩაის პლანტაცია, აგეს მისი საშრობ გადამამუშავებელი ქარხანა. სალომეს გარდაცვალების შემდეგ საქმეებს ანტუანეტა განაგებდა.

მიურატები თავიანთ მეურნეობას აწარმოებდნენ დაქირავებული მუშახელით, რომელთაც ნამუშევრის აღსარიცხავად შრომის წიგნაკები ეძლეოდათ და ამის საფუძველზე ხელფასს გასცემდნენ, ანგარიშს უსწორებდნენ.

მიურატების მეურნეობის საქონლო ხასიათი და დაქირავებული შრომის გამოყენება, რა თქმა უნდა, ახალი საწარმოო ურთიერთობის გამომხატველი იყო.

მიურატების მამულებიდან გლეხები მიწებს იღებდნენ იჯარით (ხელშეკრულებით) გარკვეული ვადით და საფასურით. მიწების სარგებლობისათვის ყოველწლიური ფულადი გადასახდელი მიწის ფართობის მიხედვით იჯარის ხელშეკრულებაში იწერებოდა, რომელსაც მხარეთა (მოიჯარისა და მიურატის ვექილის) ხელმოწერის შემდეგ სოფლის მამასახლისი ამოწმებდა ბეჭდის დასმით. მრავალრიცხოვანი ასეთი ხელშეკრულებანი ჩვენი მუზეუმის არქივშია დაცული.

ყველა ამ და სხვა საკითხებს დაკავშირებულს მიურატების საქმიანობასთან სწავლობს ამ სტრიქონების ავტორი. შედეგები საარქივო მასალების გამოვლენისა და გაცნობის შემდეგ მომდევნო წერილებში უფრო დაწვრილებით გაშუქდება.

მამანტი პაპავა,
ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრის—ისტორიული მუზეუმის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### იაკობ გოგებაშვილი — 150

## „დედა-ენის“ ზეიმი ბაღა-ბაღში

ქ. ზუგდიდის სახალხო განათლების სისტემის საბავშვო დაწესებულებებში, თანმიმდევრულად ხორციელდება ღონისძიებანი დიდი ქართველი პედაგოგის, საბავშვო მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის იუბილესათვის მზადების დღეებში.

ამასწინათ, ქალაქის №16 ბაგა-ბაღში გაიმართა „დედა-ენის“ ზეიმი, რომელიც გახსნა აღსაზრდელმა ე. აბსანძემ. აღსაზრდელებმა წარმოადგინეს „თხა და გიგო“, „ქორწილი“, როლები განახორციელეს ი. გოგიამ, ნ. კორკელიამ, გ. სიჭინავამ, მხატვრულ კითხვაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ: გ. ჭანტურია, მ. ჭურღულია, ვ. აბშილავა, ლ. მაჭავარიანი ც. გვილია, დ. ნადარაია, მ. კვარაცხელია და სხვები.

გაიხარეს პატარებმა, იცეკვეს, იმღერეს, გამოირჩეოდა ა. ჩიქობავა. დარბაზის კუთხეში გამართულ „ნატვრის ხეს“ ნორჩები შესთხოვდნენ: მალე ეხილათ თავისუფალი საქართველო. გამართეს ეროვნული ცეკვები და მუსიკის თანხლებით შესრულდა ვარჯიში.

ზეიმის დასასრულს სკოლისაკენ მიმავალ ნორჩებს გზა დაულოცა ბაგა-ბაღის გამგემ მედიკო კუკავამ და მათვე გადასცა სამახსოვრო ჩანთები და ალბომები.

სახალხო განათლების განყოფილების წარმომადგენელმა დ. აბსავამ სიტყვით მიმართა ზეიმის მონაწილეებს, უსურვა ნორჩებს ბედნიერება ცხოვრების სავალ გზაზე.

**ნ. ჟანია,**
**ქალაქის სახალხო განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი.**

## მეურნეობა—ნაგავსაყრელად?!

სოფელი ძველი აბასთუმანი—ზუგდიდის გზატკეცილი —ონარიის ჩაის მეურნეობას შუაზე კვეთს. გზის გაყოლება მწვანე ხეივანს დაუმშვენებია, რაც სიამოვნებას ჰგვრის გამვლელ-გამომვლელს.. მაგრამ აღშფოთებას ვერ ფარავ, როცა ყოველ ნაბიჯზე ნაგვის გორებს შენიშნავ.

გზის მთელი მონაკვეთი ზოგიერთებს ნაგავსაყრელად უქცევიათ. რას არ ნახავთ აქ, სამეურნეო თუ სამშენებლო ნარჩენებს, ოჯახურ ინვენტარს, ძველ ქვემაგებსაც კი. აქ წლის ყოველ დროს შეგიძლიათ ასეთ სურათს წააწყდეთ, მაგრამ გამკითხავი დღემდე არავინაა.

ვფიქრობთ, კარგი მეურნის ტერიტორიაზე ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს. ახლა, როცა ჩვენი ერის ისტორიაში სრულიად ახალი ფურცლები იწერება და როცა გარემოს დაცვა ჩვენს ხვალინდელ დღეზე ზრუნვაა, ამ დროს ასეთი განუკითხაობა არავის უნდა ეპატიოს.

მდგომარეობა საგანგაშოა, ლამის ნაგავმა დაფაროს ჩაის პლანტაციების მთელი ტერიტორია, ვფიქრობთ, დროა ონარიის მეურნეობის მესვეურებმა ამ უმსგავსობას წერტილი დაუსვან და სააშკარაოზე გამოიყვანონ ისინი, რომლებიც გარემოს გაბინძურებას არად აგდებენ.

**ლ. ბაქრაძე.**

მიმდინარე წლის 19 ივლისს ელექტროგაყვანილობის მოკლე ჩართვის შედეგად ჩემს სახლს (ვცხოვრობ სოფელ რუხში, ლენინის ქუჩა №126-ში) ცეცხლი გაუჩნდა. ძირი აქვს მომპალი და ასვლას ვერ გავრისკავდი.

რა მეთქმოდა, ეს არგუმენტი იმდენად სარწმუნო და დასაჯერებელი იყო, რომ ძალა ვერ დავატანე. სხვა გამოსავალი არ დან.

მე მაშინათვე სახლში შევედი. გამოვიტანე სასინჯი ხელსაწყო და ორივეს დავუმტკიცე, რომ ისინი ცდებოდნენ. ჩემი შეშფოთება შიშისა და ემოციის მიზეზით არ იყო გამოწვეული.

## გავუფრთხილდეთ ერთმანეთს

მეზობლების დახმარებით იგი დროულად ჩავაქრეთ. მაგრამ მწყობრიდან გამოვიდა ელექტროგაყვანილობის შიდაქსელი, ქაში ჩადგმული წყალსაქაჩი და ტელევიზორი. მეზობლებმა მითხრეს ჩვენთანაც რამდენიმეჯერ მოხდა ასე, მაგრამ რა მიზეზით ეს ვერ დავადგინეთო.

მე საერთოდ ელექტროგაყვანილობის ცოტა რაღაცა გამეგება და როცა გავსინჯე მთავარი მაგისტრალი, ბოძზე შევნიშნე, რომ ზედა ფაზა ქვედა ფაზაზე იყო ჩართული.

კოლმეურნეობის მექანიკოს გენო ლაგვილავას ვთხოვე გამოერთო ელექტროენერგია, რათა ფაზები შეგვეცვალა. მან ჩემი თხოვნა შეასრულა, ელექტროენერგია გამორთო. ახლა საჭირო იყო ბოძზე ასვლა. მაგრამ ელექტრომონტიორმა ინდიკო გუნავამ კატეგორიული უარი მითხრა. მართალია, ხაზების შეკეთება, ჩართვა და გამორთვა ჩემი სამსახურებრივი მოვალეობაა, მაგრამ ხომ ხედავ ბოძი როგორი მოფამფალებულია, მქონდა. იძულებული გავხდი 70 წელს მიღწეული კაცი მე ავსულიყავი ბოძზე. იქ მყოფთა დახმარებით მივადგი კიბე და ავცოცდი ბოძზე. მაგრამ ასვლას ვინ ჩივის. ის, რაც მერე გადამხდა მთელი სიცოცხლის მანძილზე მეყოფა ჭკუის სასწავლებლად. იმ იმედით, რომ ელექტროენერგია გამორთული იყო, მე თამამად ჩავავლე მარჯვენა ხელი ზედა ფაზას. უეცრად მძლავრი ბიძგი ვიგრძენი, ჩემდაუნებურად შევქანდი, ინსტიქტურად მარცხენა ხელი მთელი ძალღონით გავკარი ბოძს და ჩემს ბედზე მარჯვენა ხელი მოწყდა მავთულს. დღესაც არ ვიცი, როგორ გადავრჩი, როგორ არ ჩამოვვარდი ბოძიდან. ეს რაღაც ბედნიერი შემთხვევა იყო.

—არაფერია, ეგ უბრალოდ შიშისა და ემოციების ბრალია, თორემ იქ არაფერი ელექტროდენი არ ყოფილა, მითხრეს მონტიორმა და მექანიკოსმა, როცა ფერდაკარგული ჩამოვედი ბოძი-

შემდეგ გაირკვა, რომ კოლმეურნეობის მეორე ტრანსპორტიორიდან ელექტროენერგია მექანიკოს გენო ლაგვილავას დაუკითხავად ჩაურთავს რომელიღაც თვითმარქვია მონტიორს.

განა ასეთი განუკითხაობა შეიძლება. ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. ვის აქვს უფლება მექანიკოსის თუ მონტიორის დაუკითხავად ელექტროენერგია ჩართოს და გამორთოს. ასეთი განუკითხაობის შედეგად რამდენი უბედურების მოწმენი ვართ ჩვენ ყველანი.

ის, რაც მე გადამხდა, კარგი გაკვეთილი უნდა იყოს სხვებისთვისაც. რაღაც ბედნიერმა შემთხვევამ გადამარჩინა. ხომ შეიძლებოდა თვითმარქვია მონტიორის უსულგულობის მიზეზით ჩემი სახლი დამწვარიყო, ან ბოძიდან ჩამოვარდნილიყავი.

ადამიანები რატომ არ უნდა ვუფრთხილდებოდეთ ერთმანეთს?

**ლეონტი თოდუა,**
ომისა და შრომის ვეტერანი.

### სამადლობელი

## „საქმემან შენმან გამოგაჩინოს“...

ნათქვამია: „კაცს აქებდე, თუნდ აძაგებდე, უნდა იცოდე მისი წარსული“. სოფელ კორცხელის მცხოვრებლები შესანიშნავად იცნობენ მათი საექიმო უბნის ხელმძღვანელს ქალბატონ მერი ალექსანდრეს ასულ ჭანტურიას. იგი კორცხელის მკვიდრია. დაიბადა მოსამსახურის ოჯახში, იქვე მიიღო საშუალო განათლება, შემდეგ კი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტს მიაშურა, რომლის დამთავრების შემდეგ მშობლიურ კერას დაუბრუნდა.

ქალბატონი მერი ზედმეტად მზრუნველია. იგი დაჯილდოებულია ყველა იმ თვისებით, რითაც უნდა ხასიათდებოდეს ჭეშმარიტი მკურნალი. სოფლის მცხოვრებლებს სწამთ გულისხმიერი ექიმისა.

სწორედ ქალბატონი მერის მსგავსი ექიმები სჭირდება საქართველოს;

**გრიგოლ დარსანია,**
ომისა და შრომის ვეტერანი.

**რედაქტორი**
**აკ. ჭანტურია.**


## განცხადება, რეკლამა...

### აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

იმასთან დაკავშირებით, რომ დებულება პოლიტექნიკურ ტექნიკუმში მიღების შესახებ მიღებულ იქნა დაგვიანებით, ხოლო მიღების პირობები გაზეთებში გამოქვეყნებულ იქნა ადრე, გაცნობებთ, მისაღები გამოცდები დაიწყება არა 10 აგვისტოდან, არამედ ივლისის ბოლო რიცხვებიდან.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე ტექნიკუმის კანცელარიაში.

**მიმღები კომისია.**

### ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

20 ივლისიდან სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსში აწარმოებს მიღებას ყოველდღე გარდა კვირისა ექიმი—ირიდოდიაგნოსტი მოსკოვიდან.

ადამიანის შინაგან ორგანოთა პათოლოგიის განსაზღვრა მიმდინარეობს თვალის ფერადი გარსის მიხედვით.

იყიდება კეთილმოწყობილი ორსართულიანი სახლი (11 ოთახით), ცალკე კაპიტალური საკუჭნაოთი (72 კვ. მ). გარაჟით ბოსტნეულით (450 კვ. მ.).

მსურველებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ ყოველდღე 18 საათიდან 20 საათამდე შემდეგი მისამართით: ქ. სოხუმი, ოჩამჩირის ქ. №30, ჩელუსკინელების სახელობის ტურბაზის რაიონში), წილიკაკი რ. ი.


## მივხედოთ დასვენების პარკს

რამდენიმე წლის წინათ ჩვენს ქალაქში, მუზეუმის წინამდებარე ტერიტორიაზე შესანიშნავი კულტურისა და დასვენების პარკი მოეწყო. მის შუაგულში შადრევანიც იყო და დასასვენებელი საჯდომებიც. პირველ ხანებში მას ხალხი ეტანებოდა. შემდეგ... შემდეგ კი ჯერ ღამის ლამპიონები დაამტვრიეს, შემდეგ სხვა... დღეს ეს არემარე ჩანაგებულია, პირუტყვი დანებივრობს, ერთი სიტყვით უმოქმედოა.

პარკს ადამიანის ხელი სჭირდება. ვიმედოვნებთ, რომ საქალაქო საბჭოს გამოეხმაურებიან შესაბამისი სამსახურის მესვეურები.

**ბ. ალშიბაია.**

შვილები: ლონდა, იგორი, სიძე ვაჟა ჯახია, რძლები: გალინა კამენევა, ვალია შენგელია, შვილიშვილები: რუსლანი ჩარგაზია, ვასილი, მედეა, გრიგოლი კაკულიები, ბადრი ელგუჯა, ზურაბი, ბესიკი, მაკა ჯახიები. ბიძაშვილები: ზინა, თინა, თამარი, ჯანიკო შენგელიები, მაზლიშვილები: ლეილა, ბიძინა, მზია, ციური კაკულიები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ფამაიდა (თამარ) კიმოთეს ასულ შენგელია - კაკულიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29 ივლისს. დაკრძალვა 31 ივლისს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, ლენინგრადის ქუჩა 73.

შვილები: ქეთო, კაპიტონი, ვალერი, ჯამბული, და თალიკო, ძმა ხუტა, რძლები: ნუცა გოდესიძე, გულნაზი ახალაია, მედიკო ალასანია, სიძეები: ჯემალი გოგოხია, მეგონა ხორავა, ლავრენტი ყორშია, ორდენი ძანძავა. შვილიშვილები: დათო, ჯილდა, ვალერი, აკაკი ვახანიები, ბაჩანა, თეა გოგოხიები. დისშვილები: მაყვალა, გიგლა, თენგიზი, სოზარი, მაზლო ბესარიონ ვახანია. ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, მაზლიშვილები, მულიშვილები ოჯახებით იუწყებიან

**ნინა ბათლომეს ასულ ქაავა-ვახანიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29, 30 ივლისს. დაკრძალვა 31 ივლისს დარჩელში.

შინაგან საქმეთა განყოფილების კოლექტივი იუწყება

**ზვიად ზაურის ძე დგებუაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოს ადმინისტრაცია და თერაპიული განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან

**კარლო სილოვანის ძე პაჭკორიას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეოთხე საშუალო სკოლის 1983-1984 სასწავლო წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ზვიად ზაურის ძე დგებუაძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ნარაზენის ჩაის ფაბრიკის საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები იუწყებიან

**კარლო სილოვანის ძე პაჭკორიას**

გარდაცვალებას.

ახალაბასთუმნის საშუალო სკოლის 1971 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის

**გოგი სერიოჟას ძე ქადარიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ზუგდიდის ავტომოტოსერვისის საწარმოს ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და მუშა-მოსამსახურეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან №1 სადგურის თანამშრომლის

**კარლო სილოვანის ძე პაჭკორიას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.


ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის —2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-32-69, პასუხისმგებელი მდივნის — 2-31-96. სოფლის მეურნეობის განყოფილების — 2-21-78 მშრომელთა წერილების —2-25-12, რადიორედაქციის — 2-[illegible]

საქ. სსრ ბეჭდვითი სიტყვის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 66 ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000, შეკ. №3507